№ 38 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. ოთხშაბათი, 18 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე 4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

Магазин № 22
30

## სახელმწიფო თეატრი

იმერა ხ. ი. ცვლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ოთხშაბათს, თებერვლის 18-ს ბალეტის ბენეფისი.

### I. სხვა და სხვა ერთა ცეკვა.

2. კარნავალის ზღაპარი, 3. გრძნეული ფლეიტა

ხუთშაბათს 19 თებერვალს „აიდა". პარასკევს, 20 თებერვალს დილით „დემონი", საღამოთი იმხსნის ბენეფისი „პიკის ქალი". შაბათს, თებერვლის 21 ს დილით „განზელი და გრეტელი. საღამოს „ქეთო და კოტე". კვირას, დილით „ჩერევიჩკი". საღამოს „აბესალომი და ეთერი". ორშაბათს, 23 თებერვალს „ქეთო და კოტე".

## ქართულ კლუბში

22 თებერვალს ქართულ მუსიკალურ დრამატიული საზოგადოების არაჩვეულებრივი კრება

აღნიშნული საზოგადოების სარევიზიო კომისია ამით აუწყებს, საზოგადოების წევრებს, რომ კვირას, 22 თებერვალს მოხდება წევრთა კრება დილის 10 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში. განსახილველია: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება საზოგადოების გამგეობის მოქმედების შესახებ. 2) განხილვა ინსტრუქციისა და 3) ზოგიერთი წევრების მოხსენებები გამგეობის მოქმედების შესახებ. წევრთა ჩაწერა საზოგადოებაში გრძელდება. საწევრო გადასახადი 25 მანეთი.

3—1

სარევიზიო კომისია

## ქართველ მერძევეთა ამხანაგობის „გალთიადის"

გამგეობა სთხოვს მათ, ვინც საამხანაგო ფული შემოიტანა და ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია, გამოცხადდეს ტფილისის ნოტარიუს ქართველიშვილთან 15 თებერვლიდან ერთი კვირის ვადაში, რათა ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას. 269 3—1

## თიანეთის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს ფშავ-ხევსურეთის უბნისათვის ერთ გამომძიებელ მოსამართლეს. ჯამაგირი შტატით და 600 მანეთი ერობიდან დამატებით. ვისაც სურს არჩეულ იქნას, განცხადება და გავლილი სამსახურის საბუთები დაწერილებითი „კურიკულუმ ვიტეთი" უნდა გამოუგზავნოს გამგეობას დ. თიანეთში 22 თებერვლამდე. 177 3—1

## სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს ორ სარაიონო ექიმ ვეტერინარებს. ჯამაგირი და დღიურები ერობასთან შეთანხმებით. 3—2

### ოფიციალური განყოფილება.

## განკარგულებანი

**დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა.**

16 თებერვალი, 1919 წ., № 2.

I. განთავისუფლებულნი არიან დამფუძნებელი კრების კანცელარიის სამსახურისა და თანამდებობისაგან:

1. დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკის გამგის თანაშემწე გიორგი ჩუბინაშვილი—1919 წლის დეკემბრის 1 დან.

2. უფროსი კათეგორიის მანქანით გადამწერი ქეთევან წულუკიძისა ამა თებერვლის 1-დან.

II. გადაყვანილია უმცროსი კათეგორიის მანქანით გადამწერი ლეონინა ვანიძისა უფროსი კათეგორიის მანქანით გადამწერის თანამდებობაზე ამა თებერვლის 1-დან.

III. მიღებულნი არიან დამფუძნებელი კრების კანცელარიის სამსახურში და დაინიშნენ ეკატერინე ციციშვილის ასული, ნ ნა გამყრელიძის ასული და ანნა ჩხაიძის ასული-პირველი უფროსი კათეგორიის მანქანით გადამწერის თანამდებობაზე 1919 წლის ნოემბრის 1-დან. მეორე უმცროსი კათეგორიის მანქანით გადამწერის თანამდებობაზე ამა 1920 წლის იანვრის 26 დან. ხოლო მესამე უმცროსი კათეგორიის მანქანით გადამწერის თანამდებობაზე ამა თებერვლის 1 დან.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.**

12 იანვარი, 1920 წ., № 1.

**გადაიყვანება: ახალციხის საბაჟოში:** ყაზბეგის საბაჟოს გამგის თანამდებობის აღმასრულებელი შალვა ჩიხლაძე ამავე თანამდებობაზე 1 იანვრიდან 1920 წ.

**ინიშნება: ყაზბეგის საბაჟოში:** ახალციხის საბაჟოს გამგის თანაშემწე ლ. ფილავა გამგის თანამდებობის აღმასრულებლად 1 იანვრიდან ამა წლისა.

27 იანვარი, 1920 წ. № 3.

**გადიყვანებიან: მთავარ საბაჟოში:** ნატანების საბაჟოს გამგე გოგიტიძე უმცროს კონტროლიორად.

**ნატანების საბაჟოში:** მთავარ საბაჟოს უმცროსი კონტროლიორი პ. ჯულელი გამგეთ ორივე სამსახურის სარგებლობისათვის.

ზემოდასახელებულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობაზე 25 იანვრიდან 1920 წ.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი კ. კანდელაკი.

—

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარ საბაჟოსი.**

12 იანვარი, 1920 წ. № 2.

**ინიშნებიან მთავარ საბაჟოში:** ახალ-ათონის საბაჟოს გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ვალ. ჯაფარიძე საწყობის ზედამხედველის უფროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელე ლ. კ. შენგელაია მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, თავისუფალი მოხელე მთავარ საბაჟოსი დიმიტრი კ. შენგელაია ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

**ნატანების საბაჟოში:** მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელე დიმიტრი ბაქრაძე ბუღალტრის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

**სოხუმის საბაჟოში:** მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელე გრიგოლ დადიანი გემთა ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

**ახალ-ათონის საბაჟოში:** სოხუმის საბაჟოს გემთა ზედამხედველის თანაშემწე რამიშვილი გამგის თანაშემწედ და რჩება მოხელეთა შტატ. გასაძლიერებლათ.

**ახალ-ციხის საბაჟოში;** მთავარ საბაჟოს ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ევ. აბულადიანი გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

ზემოხსენებულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობაზე 1 იანვრიდან 1920 წ.

**ვლადიკავკაზის საბაჟოში:** ფოთის საბაჟოს ყოფილი საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი, მთავარ საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად გამოგზავნილი ანტ. ყვავაძე გამგის თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად 10 დეკემბრიდან 1919 წ.

**დათხოვნილნი არიან სამსახურიდან: მთავარ საბაჟოში:** თავისუფალი მოხელე მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი მ. ჩხეიძე 11 დეკემბრიდან 1919 წ. თანახმად თხოვნისა.

**ნატანების საბაჟოში:** ამავე საბაჟოს ბუღალტრის თანაშემწე დ. ქანტურიშვილი 1 იანვრიდან 1920 წ. თანახმად თხოვნისა.

27 იანვარი, 1920 წ. № 4.

**ინიშნებიან:** ფოთის საბაჟოში—ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი, მთავარ საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად გამოგზავნილი კ. პურადაშვილი ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, ამავე საბაჟოს ბუღალტრის უმცროსი თანაშემწე ნ. ბოკერია გემის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ; ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ქუთაისის საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად გაგზავნილი ა. თევდორაძე ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად. ამავე საბაჟოს ბუღალტრის უმცროსი თანაშემწე შალვა ბეჟუაშვილი გემის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ; ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდ. აღმასრულებელი, ნატანების საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად გაგზავნილი, გ. ლოლობერიძე ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; აღნიშნული საბაჟოს ბუღალტრის უმცროსი თანაშემწე თომა ჟვანია გემის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად. ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდ. აღმასრულებელი ნატანების საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად გაგზავნილი, ვ. ჭეჭნიძე—ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; ამავე საბაჟოს ბუღალტრის უმცროსი თანაშემწე კონსტანტინე სანაია გემის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ.

ზემოხსენებული პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობებზე 15 იანვრიდან 1920 წ.

მთავარ საბაჟოს გამგე ბ. მიქაძე.

—

**აქციზის სამმართველოს უფროსისა.**

**დაინიშნენ:** აქციზის სამმართველოში 1 ოქტომბრიდან 1919 წ. ბესარიონ ქორქია სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის შიკრიკად, 1 თებერვლიდან 1920 წ. მდივნის თანაშემწედ ფილიპე პეტრეს ძე შენინი, რომელსაც დაევალება ამავე რიცხვიდან საქმის მწარმოებლის თანამდებობის ასრულება. 1 თებერვლიდან 1920 წ. მიხეილ ალექსანდრეს ძე ჯალიაშვილი—ნავთის ნაწარმოების მოანგარიშედ.

**დათხოვნილია სამსახურიდან:** 1 თებერვლიდან 1920 წ. თამბაქოს ქარხნის კონტროლიორი ლუარსაბ სვიმონის ძე შატბერაშვილი.

სააქციზო სამმართველოს უფროსი პ. გვერდწითელი.

—

**გზა-ტკეცილების და წყალსავალის გზების სამმართველოს უფროსისა.**

2 იანვარი, 1920 წ. № 3.

განთავისუფლებულია სამსახურიდან, თანახმად თხოვნისა, მექანიკურ სახელოსნოების და მთავრობის გარაჟის უფროსი ტ. სპრინკველი 21 ნოემბრიდან 1919 წ.

24 იანვარი, 1920 წ. № 20.

ტეხნიკურ მეცადინეების უმცროს ინჟინერის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. ფ. ჟურიარი მივლინებულია ქ. ქუთაისში 5 და 6 უბნების მისაღებათ და მათი დროებით განსაგებათ, განსაკუთრებულ განკარგულებამდის.

სამმართველოს უფროსი

ინჟინერი ნ. კარინთელი.

—

**ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსისა.**

2 თებერვალი, 1920 წ. № 7.

**გამწესებულნი არიან:** მოქალაქე ელისაბედ ქამუტაშვილისა და ყოფილი მოხელე ნიკოლოზ კასრაძე ახლად ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ: ქამუტაშვილი—ფასანაურში, კასრაძე—გაგრაში; ყოფილი ფოსტალიონი აქვსენტი ჩხაიძე ახლად ფოსტალიონათ 480 მან. ჯამაგირით წელიწადში ლაგოდეხის კანტორაში. ქამუტაშვილი და კასრაძე 6 თებერვლიდან, ჩხაიძე 3 თებერვლიდან 1920 წ.

**დანიშნულნი არიან:** მესამე ხარ. მოხელე ფოთის კანტორისა სერგო ნუზაროვი გუდაუთის მეოთხე კლასის კანტორის უფროსის თანაშემწეთ: ანანურის განყოფილების უფროსი გრიგოლ მაზავა მეხუთე ხარ. მოხელეთ ძველი-სენაკის განყოფილებაში; მეხუთე ხარისხის მოხელე დუშეთის კანტორისა მარტიროზ ბაღდასაროვი ანანურის განყოფილების უფროსად და ტფილისის ფოსტალიონი იოსებ შოთაშვილი ზედამხედველათ დაბალი ჯამაგირით დუშეთის კანტორაში სულ ყველა 1920 წ. 6 თებერვლიდან.

**გადაყვანილნი არიან:** მაღალი ჯამაგირის ზედამხედველი დუშეთის კანტორისა ივანე ფუნტიკოვი და ფოსტალიონები: ტფილისის იოსებ დეშკაშელი, ცაგერის ტერენტი კოჭლამე და შულავერის გურია ყიფიანი იმავე წოდებებით: ფუნტიკოვი და დეშკაშელი ცაგერში, კოჭლამე და ყიფიანი ტფილისის ფოსტაში; ფუნტიკოვი 6 თებერვლიდან, დეშკაშელი, კოჭლამე და ყიფიანი 1 თებერვლიდან 1920 წლისა, ხოლო დეშკაშელი და კოჭლამე თანახმად თხოვნისა.

**დათხოვნილია სამსახურიდან:** ლაგოდეხის ფოსტალიონი ირაკლი ნიკოლოზ მეფისოვი დღიდან მისი ლაგოდეხში დანიშვნისა, ესე იგი 1920 წ. 6 იანვრიდან.

**გამორიცხულნი არიან:** ზედამხედველი უფროსი ჯამაგირისა ტფილისის ცენტრალურ კანტორისა გიორგი ჯოჯუა და ფოსტალიონი ტფილისის ფოსტის კანტორისა ივანე გერკანკაკუნი პირველი სამხედრო სამსახურში მიღების გამო 1920 წ. 1 თებერვლიდან, მეორე სხვა უწყებაში გადასვლის გამო 1 ნოემბრიდან 1919 წ.

სამმართველოს უფროსი მგელაძე.

### არა ოფიციალური განყოფილება

## მთავრობაში

**7 თებერვლის სხდომა**

**დაესწრნენ:** მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია; მინისტრები—ბ ნნი კანდელაკი, ხომერიკი, გეგეჭკორი, არსენიძე, ლორთქიფანიძე, ერაძე; სახელმწიფო კონტროლიორი—ბ ნი გოგიჩაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი ნ. ჭეჭელაშვილი... ბ-ნნი ნ. ჭიჭინაძე, ავალიანი, გედევანიშვილი, ბახტაძე, ჭავჭანიძე, ქარცივაძე; დეპარტამენტის დირექტორები—ბ ნნი ალშიბაია, ბ. ჭიჭინაძე, გ. ჟორდანია; საქმეთა მმართველი—კ. ჯაფარიძე; მდივანი—დ. ლომთაძე.

**გვარის გამოცვლა.**

ასლან გიორგის ძე ყიზილბაშის თხოვნა შეწყნარებულ იქნას და ამიერიდან ეწოდოს მას „აბაშიძე".

**სამხედრო უწყების მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდება.**

სამხედრო მინისტრის მოხსენება და წარმოდგენილი ცხრილი ახალი, გადიდებული ჯამაგირებისა მიღებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

**„დღიური ფული" ოფიცერთა და ჯარისკაცთათვის.**

სამხედრო უწყების ყველა ხარისხის მოსამსახურეთ სამსახურის საქმეების გამო მოგზაურობის დროს დღიური ფული მიეცეთ თვიური ჯამაგირის $1/_{30}$-ის რაოდენობით, ნხოლოთ დღიური ფულის რაოდენობის გამოანგარიშე-

ბის დროს წხედველობაში მიღებულ იქნას ოჯახის წევრების რაოდენობაც. (ძირითად ჯამაგირს უნდა მიემატოს ულუფის ღირებულება და შემდეგ ისე უნდა იქნეს გამოანგარიშებული დღიური ფული).

ჯარის კაცებს მოგზაურობის დროს დღიურ ფულათ მიეცემათ $^{1}/_{30}$-დი უმცროსი ოფიცრის თვიური ჯამაგირისა.

სათანადო დეკრეტი დამფუძნებელ კრებას წარუდგინოს სამხედრო სამინისტრომ.

# მისალმება

**მთავრობის თავმჯდომარეს.**

მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ მიიღო შემდეგი მისალმიცი დეპეშები:

**ლანჩხუთიდან:** „ჩიბათის თემის კრებამ მოისმინა დამფუძნებელ კრების წევრის ვლასა მგელაძის მოხსენება და სალამს უძღვნის ნოე ჟორდანიას მთავრობის სახით. თქვენმა პოლიტიკამ გვიხსნა ანარქიისაგან და დაგვაახლოვა ევროპას. გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას“.

კრების თავმჯდომარე ტუსკია.

**დუშეთიდან:** „დუშეთის მაზრის ერობის ხმოსანთა წლიური ყრილობა გილოცავს თქვენ საქართველოს დამოუკიდებლობას და იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენი მაზრისმშრომელი ხალხი არ დაიშურებს თავის ძალღონეს დემოკრატიული რესპუბლიკის განამტკიცებლად თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში“.

ყრილობის თავმჯდომარე ივ. ტატიშვილი.

**შემოქმედიდან:** „შემოქმედის თემის მასწავლებელთა ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება მომენტზე და იწონებს რა მთავრობის მიერ დღემდე გადადგმულ ნაბიჯებს აღუთქვამს ენერგიულ მუშაობას სოფლად“.

მასწავლებელთა კავშირის გამგეობა.

**ხაშურიდან:** „ხაშურის სათემო ერობის ხმოსანთა ყრილობამ მოისმინა რა თავის კრებაზე 8 თებერვალს ანტანტის მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა, მხურვალე სალამს მიუძღვნის თქვენ და საქართველოს დამფუძნებელ კრებას და გისურვებთ ისე მედგრათ გვიჭიროთ თავისუფლების წითელი დროშა, როგორც დღემდე. სცოცხლობდეს თავისუფალი საქართველო“.

ხაშურის ერობის გამგეობა.

**ლანჩხუთიდან:** „7 თებერვალს ლანჩხუთის მოქალაქეთა მრავალ რიცხოვანმა კრებამ აღფრთოვანებით მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელ კრების წევრის, ვლასა მგელაძის დამფუძნებელ კრების და მთავრობის მუშაობის და საერთო პოლიტიკის შესახებ, ესალმება მათ და აღუთქვამს ენერგიულ დახმარებას დემოკრატიულ წყობილების განმტკიცებაში“.

ქალაქის მოურავის ამხანაგი იმნაძე.

**აცანიდან:** „დამფუძნებელ კრების წევრის ვლასა მგელაძის მოხსენების გამო აცანის თემის მრავალ რიცხოვანი მიტინგი მხურვალე სალამს უძღვნის მთავრობას და მტკიცეთ სჯერა, რომ რესპუბლიკა, რომელსაც ასეთი მთავრობა განაგებს, აყვავდება და აღორძინდება“.

მიტინგის თავმჯდომარე არისტ. ჩხაიძე.

# დამფუძნებელი კრება

**13 თებერვლის სხდომა.**

**მომარაგების მინისტრის ამხანაგის ევ. ჭავჭანიძის სიტყვა.**

მოქალაქენო! ორი კვირის წინეთ დამფუძნებელ კრების წევრმა ბ. გრიგოლ ვეშაპელმა თქვენს წინაშე „დაასაბუთა“ თავისი შეკითხვა აფხაზეთში თამბაქოს მონოპოლიის გატარების საქმის არა ნორმალური მდგომარეობაში ყოფნის შესახებ. სიტყვის დასაწყისში ბ-ნ ვეშაპელმა მიაქცია თქვენი ყურადღება იმ ორგანოსადმი, რომელიც თანახმათ კანონისა უნდა შეედგინა მთავრობას მაგარი ფასების შესამუშავებლათ და განაცხადა „მე არ ვიცი შეადგინა თუ არა მთავრობამ ასეთი ორგანო, თუ შეადგინა, ის უნდა ყოფილიყო ოფიციალური და ამ ორგანოში უნდა შესულიყვნენ აფხაზეთის მეთამბაქოების წარმომადგენლნიცო“.

ბატონებო! მე არ ვიცი რას უძახის ბ-ნი ვეშაპელი ოფიციალურს და არა ოფიციალურს, ხოლო ის კი ვიცი, რომ ის ორგანო, რომელიც შეადგინა მომარაგების სამინისტრომ მტკიცე ფასების დასაწესებლათ, ოფიციალურიც იყო და კანონიერიც. ფოთლოვან თამბაქოს მონოპოლიის გატარების კანონის მეორე მუხლის შენიშვნა შემდეგს ლაპარაკობს: „მტკიცე ფასების შესამუშავებლათ არსდება ორგანო, რომელშიაც შედი ნ მთავრობის, საზოგადოებრივ ორგანიზაციების და სავაჭრო პალატის წარმომადგენლნი“. იმ ორგანოში, რომელიც მომარაგების სამინისტრომ შექმნა, შევიდნენ: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი ს. ავალიანი, სააქციზო სამმართველოს წარმომადგენელი, სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენელი, ქალაქთა კავშირის, კოოპერატივთა კავშირის და მეთამბაქოების წარმომადგენელნი. ეს ორგანო სავსებით აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნილებას; ამ ორგანომ დააწესა მტკიცე ფასები და იმის მტკიცება, რომ თითქო კანონი იყვეს დარღვეული, მოკლებულია ყოველივე საფუძველს. ის გარემოება, რომ ორგანოში არ შესულან სოხუმის ოლქის მეთამბაქოეთა წარმომადგენელნი, საქმეს არას ავნებს. მით უმეტეს, რომ სამინისტრომ ანგარიში გაუწია იქაურ მეთამბაქოების მოთხოვნილებასაც და მოუმატა ფუთზე ხუთი თუმანი დასტებათ შეკრულ თამბაქოზე. არ არის მართალი ბ ნი ვეშაპელის მეორე ბრალდებაც. ბ-ნი ვეშაპელი ბრალს გვდებს იმაში, რომ თითქო ჩვენ ისეთი დიდი საქმე, როგორიც მონოპოლიის ჩატარებაა, ჩვენ მივანდეთ ერთ პირს. იმ ინსტრუქციაში, რომელიც სამინისტრომ შეიმუშავა და რომელიც სოხუმში გამოქვეყნდა აფხაზეთის კომისარიატის და სამინისტროს მთავარწმუნებულის ხელის მოწერით, შავით თეთრზეა დაწერილი: „Техническое выполненіе работъ по загатовкѣ листового табаку подъ главнымъ руководствомъ и подъ директывамъ главноуполномоченнаго министерства снабженія поручено комиссаріату Абхазіи.

ინსტრუქციის ეს ადგილი სავსებით აბათილებს ბ-ნ ვეშაპელის მეორე ბრალდებას და ამის შესახებ არც მე გავაგრძელებ სიტყვას.

ბ-ნი ვეშაპელის მესამე ბრალდება იმაში მდგომარეობს, რომ ყიასაშვილს მტკიცე ფასები გამოუცხადებია.

ბატონებო! აფხაზეთის კომისარიატმა და სამინისტროს რწმუნებულმა გამოაცხადეს შესაფერ ორგანოს მიერ შემუშავებული მტკიცე ფასები. ამ აქტში, მე დარწმუნებული ვარ,—გარდა ვეშაპელისა, სხვა ვერავინ დაინახავს რაიმე კრიმინალს. მეოთხე ბრალდებით ბ ნი ვეშაპელი გვიყენებს ყიასაშვილის მიერ ადმინისტრატიული სასჯელის შემოღებას და 8 კაცის დაპატიმრებას. ბრალდება სწორეთ რომ სასაცილოა. ყიასაშვილს არავითარი სასჯელი არ შემოუღია და თუ ვინმე კი იყო დაპატიმრებული, ეს იყო ადგილობრივმა ადმინისტრაციის მიერ. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დააპატიმრა ისეთები, რომლებიც არ დაემორჩილენ კანონის მოთხოვნილებას, კანონით თამბაქოს ყველა პატრონი ვალდებულია ჩააბაროს თამბაქო მთავრობის წარმომადგენელს, მაგრამ თუ ის კანონს ურჩობას უწევს, უარს აცხადებს კანონის მოთხოვნილების შესრულებაზე, იგი უნდა დაისაჯოს. ასე მოიქცა სოხუმის ადმინისტრაციაც; მან ოქმი შეუდგინა ურჩებს და დასაჯა.

(ვეშაპელი ადგილიდგან, ბოქლომი არ გაუტეხიაო?) დიახ, ამასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ თქვენ ისიც გეცოდინებათ, თუ რა პირობებში მოხდა ბოქლომის გატეხა. მეთამბაქოემ ლაზარიძემ დიდი დაცვისა და წინააღმდეგობის შემდეგ გაუღო საწყობი მიმღებ კომისიას; ეს იყო 23 დეკემბერს, ხოლო 24 დეკემბერს ლაზარიძი მიიმალა გასაღებიანად, რომ საშუალება მოესპო კომისიისათვის განეგრძო თამბაქოს მიღება, მაშინ კომისიამ შესაფერი აქტი შეადგინა და ბოქლომი გატეხა. სხვაფერ არც შეეძლო მოქცევა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა სპეკულიანტი დამალავდა გასაღებს, ან სულ ზღვაში გადააგდებდა—ზღვა ხომ იქვეა—და საშუალებას წაართმევდა მთავრობის აგენტებს შეესრულებიათ დაკისრებული მოვალეობა. ბ-ნო! კანონი იმისთვის არსებობს, რომ ის შეასრულონ; და თუ კანონის ურჩობა დაუსჯელი დარჩა, მაშინ ვინ შეასრულებს კანონის მოთხოვნილებას?!. სოხუმის ადმინისტრაციაც ასე მოიქცა, მან დაატუსაღა კანონის ურჩი და სწორათაც მოიქცა. მაგრამ იმავე დროს აფხაზეთის კომისარიატმა დაითხოვა ის მოხელეც, რომელმაც ერთ შემთხვევაში თავის უფლებებს გადააჭარბა და უდიერობა გამოიჩინა. მეხუთე ბრალდება ის გახლავთ, რომ თითქო ჩვენს რწმუნებულს ინგლისელ ფირმის „კოსმოსის“ და ფინლიანდიელ ფირმის „კახის“ წარმომადგენლებისთვის არჩევით მიუცია მაღალი ხარისხის თამბაქო და ამით დაულუპავს დანარჩენი თამბაქოს საქმეო. ბატონებო! სოხუმის ოლქში 900000 ფუთი თამბაქოა. „კოსმოს“ და „კახმას“ სულ ჩააბარეს 22—25 ათასი ფუთი თამბაქო; კიდეც რომ არჩევით ჩაებარებიათ მათთვის თამბაქო ამ დარჩენილ თამბაქოს ღირსებას ვერას დააკლებდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბ-ნი ვეშაპელის ეს ბრალდებაც ისევე უსაფუძვლო და დაუმტკიცებელია, როგორც სხვა ბრალდებები. აღნიშნულ ფირმებთან დადებულ ხელშეკრულობებში გარკვეულია თუ რომელ ხარისხის თამბაქო რამდენი უნდა ჩავაბაროთ; და სწორედ ამ პროპორციით ჩააბარა ჩვენმა რწმუნებულმა მათ თამბაქო. კეთილ ინებოს და საბუთებით დაამტკიცოს ბ-ნმა ვეშაპელმა, რომ ის ასე არ არის. ბ-ნი ვეშაპელი აყენებს რა ზევით ჩამოთვლილ ბრალდებებს, ასკვნის: ასეთმა არა ნორმალურმა მდგომარეობამ გამოიწვია აუარებელი საჩივრები და აყალმაყალი. მე კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ ჩვენც არც ერთი საჩივარი არ მოგვსვლია, ხოლო აყალმაყალი კი გამოიწვია მონოპოლიამ და არა ყიასოვას მოქმედებამ. აყალმაყალი გამოიწვია „სკუპჩიკების“, სპეკულიანტების წრეში და არა პლანტატორებში, მონოპოლია სცხებს სპეკულიანტების ჯიბეს და ამან ააყაყანა ისინიც და მათი დამცველებიც. არავითარ საშუალებას არ თაკილობენ, ოღონდ მონოპოლია ჩაფუშონ, პროვოკაციასაც კი მიმართავენ ხოლმე, რომ მთავრობას პლანტატორებიც აუჯანყონ. ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ ასეთ პროვოკაციას ქონდა ადგილი: როდესაც „კოსმოსის“ გემი მივიდა სოხუმში: ხალხს უთხრეს: აი, შეხედეთ,—ამ გემმა ფოთში მიიტანა დიდძალი საქონელი, იქ დატოვა და აქ ცარიელი მოვიდა, რომ თქვენი თამბაქო წაიღოსო. დიახ, ბატონებო, გემმა ფოთში დასტოვა საქონელი. ამ საქონლის მიღება და შეფასება ამ დღეებში დათავდება, რის შემდეგ დიდი ნაწილი ამ საქონლისა დაუყონებლივ გაიგზავნება სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვის. ჩვენ უკვე მივეცით წინადადება სოხუმის კომისარიატს, რომ მან გამოგზავნოს თავისი რწმუნებული, რომელიც მიიღებს საქონელს და გადაგზავნის სოხუმში. ტყვილა ცდილობენ სოხუმელი სპეკულიანტები პროვოკაციით ფონს გასვლას, ისინი ამ გზით პლანტატორებს ვერ ააცდენენ სწორ გზას. ეს ნათლად დამტკიცდა 25 იანვარს მოწვეულ პლანტატორების ყრილობაზე. ამ ყრილობაზე იყო ერთი მიმართულება, რომელიც მონოპოლიას ებრძოდა.

ამ მიმართულებას ხელმძღვანელობდა ნაციონალ დემოკრატი, დამფუძნებელ კრების წევრი ბ-ნი ასათიანი, რომელიც სასტიკად დამარცხდა: მისმა რეზოლიუციამ მიიღო მხოლოდ ხუთი ხმა, ხოლო მეორე რეზოლიუციამ რომელთაც ყრილობა იწონებს მონოპოლიის გამოცხადებას და ესალმება მთავრობას, მიიღო 69 ხმა, ხუთმა კი თავი შეიკავა. როგორც ხედავთ პლანტატორები კმაყოფილი არიან მონოპოლიის გამოცხადებით, არ არიან კმაყოფილნი მხოლოდ სპეკულიანტები და ბ. ასათიანი, რომელმაც ყრილობაზე სასტიკად დამარცხების შემდეგ დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს დეპეშით მიმართა და სთხოვა მონოპოლიის კანონის შეჩერება. დიდი გამბედაობა კი უნდა გქონდეს კაცს, რომ მოიქცე ისე, როგორც ბ ნი ასათიანი. ბ-მა ვეშაპელმა არც მომავალი წარმოება დასტოვა უყურადღებოთ. მისი აზრით, მონოპოლია დაღუპავს წარმოებას, მე კი ვფიქრობ, რომ ეს მართალი არ არის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ საჭიროა ავანსების დარიგება პლანტატორებისათვის, რომ მათ განაგრძონ თამბაქოს მეურნეობა. ამ მიზეზით დავავალეთ ჩვენს რწმუნებულს შეეკრიბა საჭირო ცნობები. ცნობები მან უკვე შეკრიბა და ჩამოიტანა: ჩვენც ეხლა ვიმუშავებთ ამ ავანსების დარიგების წესს და მალე ამ საქმესაც მოვაგვარებთ.

ამნაირათ, ბატონებო, თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ არც კანონები დაგვირღვევია და არც სოხუმის მცხოვრებთა ინტერესები დაგვივიწყებია და თამბაქოს მეურნეობის ბედ-იღბალზედაც გვიფიქრნია.

მაშ რას გამოუწვევია ბ. ვეშაპელის შეკითხვა?—ეს შეკითხვა არის ერთგვარი დემაგოგია: სოხუმის ოლქში ამ მოკლე დროში არჩევნები დაიწყება და ბ ნი ვეშაპელი ფიქრობს შეკითხვის შეტანით პარტიული კაპიტალის შეძენას, არჩევნებზე ორიოდე ხმის შეკრებას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ „სკუპჩიკები“ და სპეკულიანტები მეტად კმაყოფილი დარჩებიან ბ. ვეშაპელით და თავიანთ კენჭს არ მოაკლებენ მას; მაგრამ სოხუმის ოლქის დემოკრატია კი არ წამოეგება ვეშაპელის ანკესზე. დემოკრატია კარგად არჩევს მოყვარეს მტრისაგან და იცის თუ ვის უნდა გაჰყვეს.

**გრ. ვეშაპელი** (ნაციონ.). ბ. მომარაგების მინისტრის ამხანაგი ამტკიცებს, რომ მტკიცე ფასების დამწესებელი ორგანო იყო შექმნილი კანონის თანახმადო. მე ვამტკიცებ, რომ საზოგადოებამ არაფერი არ იცოდა ორგანოს შექმნაზე. ასეთ ორგანოს შექმნის საქმეში აუცილებლად საჭირო იყო, რომ ფართე მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ეს ორგანო არსად არ ყოფილა ოფიციალურად დამტკიცებული; როდესაც გამოირკვა, რომ ამ თათბირის მიერ დაწესებული ფასები ცოტა იყო, მაშინ მომარაგების მინისტრის განკარგულებით ფასებს მოუმატეს. როგორც ხედავთ მინისტრი ერევა ამ საქმეში და ამით ის უარყოფს იმ ორგანოს ფუნქციებს. რომ ყოფილიყო ნამდვილი ორგანო თანახმად კანონისა შექმნილი, მაშინ ფასების საქმეს ის ორგანო მოაწესრიგებდა. აგრეთვე უნდა აღვნიშნო, რომ ფასები წოდებრივად არის დაყოფილი. გლეხებს თუთუნზე მეტი ეძლევათ ვინემ თუ გინდ ყოფილ აზნაურებს და თავადებს. თუთუნის ფასები ძალიან მცირეა. ჩვენ საზღვარს იქით, ჩრდილოეთით თუთუნი იყიდება 2500 მან. ფუთი. ერთი ფუთი თუთუნის მოყვანა ამ ჟამად ჯდება 1500 მან. მაშინ, როცა სამინისტრო 800—900 მან. აძლევს ფუთში. ასეთ პირობებში, რა საკვირველია, თამბაქოს კულტურა დაეცემა, მომავალში სულ არ გვექნება თუთუნი. შემდეგ ორატორი ეხება 25 იანვრის მეთამბაქოეთა ყრილობას და ამბობს, რომ ყრილობამ აღნიშნა ფასების აწევის და სათანადო ორგანოს შექმნის აუცილებლობაო. შემდეგ ორატორი არჩევს კოსმოსთან დადებულ ხელშეკრულებას და ასკვნის, რომ ეს ხელშეკრულობა ხაზინისათვის საზარალოაო. ასეთი ხელშეკრულებები დამფ. კრების დაუდასტურებლად არ უნდა იკვრებოდესო. სიგვიანის გამო სხდომა დაიხურა და შემდეგისათვის გადაიდო ამ საკითხის განხილვა.

# საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი*)

**სახელმწიფო ფინანსები.**

1. არავითარი გადასახადი არ შეიძლება იქნეს დაწესებული, ან შეკრებილი, თუ წინასწარ ის პარლამენტის მიერ იქნა დადასტურებული.

**შენიშვნა:** ადგილობრივ თვითმმართველობათა უფლებას გადასახადების დაწესებისას განსაზღვრავს ცალკე კანონი.

2. არავინ განთავისუფლდება სახელმწიფო გადასახადისაგან, გარდა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებისა.

3. თუ არა კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება იქნეს გაღებული სახელმწიფოს ხაზინიდან.

4. პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება იქნეს აღებული სახელმწიფოს სესხი და არც რაიმე ფინანსიური ვალდებულება.

5. როდესაც პარლამენტის სხდომები შეწყვეტილია, და სესხის აღებას კი საჭიროება მოითხოვს, საჩქაროდ უნდა იქნეს მოწვეული პარლამენტის სხდომა.

6. სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარუდგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

7. თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაფაროს პარლამენტის ნებართვით.

8. ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

**სახელმწიფოებრივი ტერიტორია.**

1. სახელმწიფოებრივი ტერიტორიის გაცემა, გაყოფა და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფოებრივი ტერიტორიის გაფართოება ან სადაო საზღვრების შესწორება ხდება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

2. ადმინისტრატიული დაყოფა და თვითმართველურ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

**საზოგადო დებულებანი.**

1. საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკ-

*) საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებანი: 1) „აღმასრულებელი თავისუფლება“, 2) „მოქალაქეთა უფლებანი“, 3) „სოციალური უფლებანი“, 4) „სწავლა განათლება“, 5) „სქესთა ურთიერთობა“, 6) „რესპუბლიკის სამხედრო ძალები“, 7) „სასამართლო“, 8) „სახელმწიფო და ეკლესია,, 9) „ადგილობრივი მართველობანი“, 10) „სახელმწიფო მოხელენი“. დაიბეჭდა გაზ. „საქ. რესპ.“, 1919 წ. 295 და 296—№-ში.

-რი წყობილებისა, არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალური სახელმწიფოა.

3. საქართველოს დედაქალაქი არის ტფილისი, სადაც მუდმივად იმყოფება საქართველოს პარლამენტი და მთავრობა.

4. საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

5. ყოველი კანონი ან მთავრობის ბრძანება სავალდებულო ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი კანონიერის წესით ცხადდება.

### პარლამენტი.

1. საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო პროპორციული თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით არჩეული 120 დეპუტატისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რომელსაც 20 წელი შესრულებია. პარლამენტი აირჩევა ორი წლის ვადით.

2. პარლამენტის წევრთა ასარჩევათ რესპუბლიკა დაყოფილია საარჩევნო ოლქებათ, თანახმად საარჩევნო კანონისა, თვითეულ ოლქს უნდა მიეკუთვნოს განსაზღვრული პროპორციული რიცხვი დეპუტატებისა მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით.

3. პარლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელ ერს და არა ცალკე პროვინციას, რომელმაც ისინი აირჩია.

4. პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრის და შეხედულობისათვის, რომელსაც იგი გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს. პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება იგი დატუსაღებულ იქნეს ან სასამართლოში მიეცეს, სანამ პარლამენტის წევრათ ითვლება, უკეთუ თვით პარლამენტმა ამის დასტური არ მისცა, გამონაკლისს შეადგენს ისეთი შემთხვევა, როცა მას დანაშაულის ჩადენის დროს მიუსწრებენ. ეს შემთხვევა, დაუყონებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. დატუსაღებული ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი უნდა განთავისუფლებულ იქნეს უკეთუ ამას პარლამენტი მოითხოვს.

5. პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

6. პარლამენტის წევრს არ შეუძლიან იმავე დროს რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა ეჭიროს სახელმწიფოს ან ადგილობრივ თვით მმართველობის სამსახურში. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მთავრობის წევრი, სახელმწიფო კონტროლიორი, ან ეჭიროს თვითმმართველობის ხმოსნის ან რაიმე საპატიო თანამდებობა. დეპუტატს შეუძლია მიიღოს მთავრობისაგან რაიმე პოლიტიკური დავალება არა უმეტეს ექვსი თვისა.

7. პარლამენტი ამ კონსტიტუციით დადებულ ფარგალში ერის სუვერენობის მატარებელია.

8. პარლამენტი გამოსცემს კანონებს, დეკრეტებს და დადგენილებებს, მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონათ იქნება განსაზღვრული.

9. პარლამენტს ეკუთვნის უმაღლესი გამგებლობა ჯარის და საერთო რესპუბლიკის ყველა შეიარაღებული ძალების. პარლამენტის უფლებას შეადგენს ომის გამოცხადება, ზავის ჩამოგდება, დამტკიცება საზავო, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან აგრეთვე ამნისტიისა უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტს. პარლამენტი ამტკიცებს ბიუჯეტს საშინაო და საგარეო სესხის, აირჩევს იმ პირთ, რომელთა არჩევა კონსტიტუციით ან კანონით აქვს მიკუთვნებული, და საერთო კონტროლს უწევს აღმასრულებელ ხელისუფლებათა მოქმედებას.

10. პარლამენტის სხდომები საჯაროა, მაგრამ პარლამენტს შეუძლიან განსაკუთრებულ დადგენილებით ფარულად გამოაცხადოს თავისი სხდომა ან ნაწილი სხდომის (ბელგ. 33).

11. პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა რწმუნებულობას და გადასწყვეტს ყოველივე დავას ამ საგანზე (შეერთ-შტატი გან. 5. მ.—ს.).

12. პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით (ნახევარი) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეგლამენტით ან კანონით სხვა რაოდენობა არის დადგენილი.

13. პარლამენტის სესიის გახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, უკეთუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევრამდე მეტი გამოცხადდა (იხ. შედარება შვეიც. კონსტ. № 87 ბელგიის 38).

14. პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობისადმი შეკითხვის და კითხვის მიცემისა. წესი და ფარგალი შეკითხვის და კითხვის მიცემის განისაზღვრება კანონით და რეგლამენტით (ბელგ. 40).

15. პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტის საშუალებით წესს, რომლის მიხედვით იგი მოქმედობს თავის ფუნქციების ასრულების დროს (ბელგ. 46).

16. პარლამენტის სესია იკრიბება ყოველ წელიწადს ნოემბრის პირველ კვირა დღეს.

17. პარლამენტის სესიის დროებით შეჩერება, უნდა მოხდეს პარლამენტის გადაწყვეტილებით.

18. პარლამენტის მუშაობა შეიძლება შეწყვეტილ იქნეს წელიწადში არა უმეტეს ხუთი თვისა განსაკუთრებულ შემთხვევაში მისი მოწვევის უფლება აქვს მთავრობას ან პარლამენტის პრეზიდიუმს. პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ ამას დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს.

19. ინიციატივის უფლება ეკუთვნის პარლამენტის ყოველ წევრს, თვითმმართველობას ან 5,000 ამომრჩეველს.

20. სამი მაზრის ერობის, ან 20,000 ამომრჩევლის ხელმოწერილი მოთხოვნილებით პარლამენტი ვალდებულია კანონ პროექტი საბოლოოდ განხილვის შემდეგ ხალხის წინაშე დასვას კენჭის საყრელად (რეფერენდუმი).

21. პარლამენტი თითეულ სესიის დასაწყისში აირჩევს პრეზიდიუმს. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება თავმჯდომარედ და მის ამხანაგად იყოს ორი სესიის განმავლობაში.

### მოქალაქეობა.

6. საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება:

ა) შვილი საქართველოს მოქალაქისა, დაბადებული საქართველოს ტერიტორიაზე, ან მის გარედ;

ბ) ქორწინების გარეშე შობილი საქართველოს მოქალაქე დედისაგან;

გ) ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქე დედისაგან;

დ) კანონიერის წესით შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქისაგან;

ე) უცხოეთში გათხოვილი საქართველოს მოქალაქე ქალი, რომელიც დაქვრივების ან განქორწინების შემდეგ განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს; ხოლო უწლოვანი შვილი ასეთი ქვრივისა ან განქორწინებულისა, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში და სრულ წლოვანების შემდეგ არ განაცხადებს მამის მოქალაქეობაში დარჩენის სურვილს;

ვ) უცხოელთა უწლოვანი შვილი, ქორწინებაში თუ მის გარეშე შობილი, იმ დღიდან, როცა მისი მშობლები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას.

ზ) შვილი საქართველოს იმ მოქალაქე ქალისა, რომელიც უცხოელს მისთხოვდება, მაგრამ მუდმივად სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებს, რომ სურს მამის მოქალაქეობა შეინარჩუნოს, და

ც) ვინც ნატურალიზაციით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

7. ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვებისათვის შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიან უცხო ქვეშევრდომს ან უქვეშევრდომოს, რომელიც უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სცხოვრობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შუამდგომლობა უნდა წარედგინოს რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც ერთი წლის შემდეგ დღიდან შუამდგომლობის აღძვრისა განიხილავს მის თხოვნას და მიანიჭებს მთხოვნელს მოქალაქეობას, უკეთუ მას სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მავნე პირად არ მიიჩნევს. თხოვნის შეტანიდან განხილვამდე მთხოვნელი აუცილებლად საქართველოში უნდა ბინადრობდეს.

შენიშვნა 1. ყოველი უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე თავისი სამეცნიერო შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით თუ სხვა მხრივ, შეიძლება ამ ვადის მოუთხოვნელადაც იქნეს მიღებული საქართველოს მოქალაქედ.

შენიშვნა 2. ვადის მოუთხოვნელად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ აგრეთვე ყოველი უცხო ქვეშევრდომი ქართველი.

8. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლიან იყოს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ.

9. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას ჰკარგავს:

ა) ვინც რესპუბლიკის წინაშე ცალკე კანონით განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ მოვალეობათა შესრულების შემდეგ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობას მოიპოვებს ნატურალიზაციის წესით.

ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად.

ვინც უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილს.

## საქართველოს სკოლის რეორგანიზაციის საკითხის გარშემო*)

შაბათს, 14 თებერვალს, შესდგა პირველი სხდომა კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობის საკითხის გარკვევა—თუ როგორ უნდა მოეწყოს საქართველოში სწავლა-განათლების საქმე.

როგორც ალბად მკითხველსაც მოეხსენება მთავრობას განზრახული აქვს შეიტანოს დამფუძნებელ კრებაში განსახილველად პროექტი საქართველოში სწავლა-განათლების საქმის ძირითადი რეორგანიზაციის შესახებ. მთავრობამ უკვე მიიღო განსაკუთრებული დეკრეტით რამოდენიმე მნიშვნელოვანი დებულებანი, რომლის განსამარტებლად მოწვეულია ზემოაღნიშნული კომისია. კომისიის პროექტი საჭირო შესწორებებით მოხსენდება შემდეგ პარლამენტს.

კომისიის მუშაობის მეტი ნაყოფიერებისათვის უსათუოდ საჭიროა, რომ მას ფართო საზოგადოებრივი ხასიათი მიეცეს. მთელს ჩვენს საზოგადოებას და განსაკუთრებით მასწავლებლობას უნდა ჰქონდეს საშუალება თვალ ყური ადევნოს ამ მუშაობას, რათა ყველას საშუალება მიეცეს გამოსთქვას თავის აზრი კომისიაში გასარჩევი საკითხების შესახებ. ასე ხდება ყველგან, როცა ასეთი მნიშვნელოვანი მუშაობა სწარმოებს.

ამ მიზნისათვის, წე. ი. ფართე საზოგადოების ყურადღების კომისიის მუშაობისადმი მისაპყრობად, საჭიროა, რომ მისი სხდომის ოქმები პრესაში იბეჭდებოდეს. თუ ეს არ მოხერხდა, ის მაინც საჭიროა, რომ კომისიის უმთავრეს გადაწყვეტილებებს აწვდიდენ საზოგადოებას გაზეთების საშუალებით.

ამ წერილში მე მინდა მკითხველის ყურადღება ერთს რამეს მივაქციო. ჩემის აზრით, თავის პირველ სხდომაზე კომისიამ ვერ მიაგნო სწორ გზას. საზოგადოთ, როცა რომელიმე რთული საკითხი ირკვევა კომისიაში, უსათუოდ საჭიროა წინასწარი გეგმა, რომლის მიხედვით უნდა სწარმოებდეს მსჯელობა. თუ ეს ასე არ მოხდა, თუ წინასწარ არ არის მკაფიო ფორმა, რომელშიაც უნდა ჩამოესხას კომისიის მუშაობა, შესაძლებელია ეს მუშაობა შეფერხდეს და სრულიადაც განიბნეს.

აზრთა სხვა და სხვაობაში უფრო კონკრეტიულად, რომ გამოვთქვათ ჩვენი აზრი, საქმე შემდეგშია: ზემოაღნიშნულმა კომისიამ პირველად ყოვლისა მოისმინა ბ. თავმჯდომარის, დ. უზნაძის, შინაარსიანი მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ აქვს მას, ბ. უზნაძეს, წარმოდგენილი საქართველოს სკოლა. ამ მოხსენების შემდეგ კომისია უშუალოდ შეუდგა დაბალ სკოლის მოწყობის საკითხის გარჩევას, საზოგადოთ მთელი თავისი მომავალი მუშაობის დაწვრილებით გაუთვალისწინებლად და მისი გეგმის შეუდგენლად.

აქ უნებურად იბადება საკითხი: რად უნდა კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს გაარჩიოს საკითხი საქართველოს მთელი სკოლის ე. ი. როგორც დაბალი, აგრეთვე საშუალო და უმაღლესი სკოლის შესახებ, დაიწყოს მსჯელობა მაინც და მაინც დაბალი სკოლის და არა, მაგალითად, უმაღლესი სკოლის განხილვიდან? იმიტომ რომ დაბალი სკოლა არის პირველი, სადაც პირველი საძირკველი ეყრება სწავლას? მაგრამ ეს ხომ სრულიად არ ასაბუთებს იმას, რომ ჩვენ სწორედ დაბალი სკოლის განხილვიდან უნდა დავიწყოთ ჩვენი მუშაობა. მსჯელობის თანდათანობა შეიძლება არ შეეფერებოდეს საგანთა თანდათანობას.

განა შეუძლებელია, მაგალითად, რომ საკითხი იმის შესახებ, როგორ უნდა მოეწყოს დაბალი სკოლა, დამოკიდებული იყოს უმაღლესი სკოლის თვისებიდან: დაბალი და უმაღლესი სკოლა ხომ ერთს სისტემას წარმოადგენენ. მაშასადამე, პრინციპიალურად ერთნაირად მისაღებია, როგორც დაბალი სკოლიდან ისე მაღალი სკოლიდანაც მთელი სკოლის რეორგანიზაციის კითხვის გარჩევის დაწყება. თუ აგრეა, მე ვფიქრობ, სადაა რომ ასე უკვე მათოდ კომისიამ თავის მუშაობა სწორედ დაბალი სკოლიდან დაიწყოს.

ჯერ უნდა გარკვეულიყო გეგმა კომისიის მუშაობისა, როგორც ეს განზრახული ჰქონდა პირველად თვით ბ. თავმჯდომარეს (არ ვიცი, რად გადუხვია ბ. თავმჯდომარემ შემდეგ პირველს თავის აზრს, რომელიც ერთად ერთი მისაღებია). ჯერ უნდა გაშუქებულიყო ლოღიკური თანდათანობა სხვა და სხვა საკითხთა შორის, რომელიც შეიძლება წამოიჭრეს კომისიის წინაშე, და შემდეგ ამ გეგმის მიხედვით უნდა გვეწარმოებინა მთავარი მუშაობა.

ეხლა წარმოიდგინეთ შემდეგი შესაძლებლობა, რომელიც სრულიად არ არის მოსპობილი ჩვენი კომისიის მუშაობის წესით და რომელიც უეჭველად იჩენს თავს, ჩემის აზრით, მომავალში: ვთქვათ, კომისიამ მიიღო ერთგვარი დებულება დაბალი სკოლის შესახებ და ამ დებულების შესაფერისად ააგო მთელი დაბალი სკოლის სისტემა, შემდეგმა მუშაობამ კი გამოარკვია, რომ ეს დებულება ეწინააღმდეგება უმაღლესი სკოლის არსებითი თვისებას. რა უნდა მოხდეს მაშინ? ცხადია, რომ კომისიამ უნდა უარყოს ან პირველი ან უკანასკნელი, ე. ი. ან შესცვალოს არსებითად უმაღლესი სკოლა (მოშალოს უმაღლესი სკოლა სრულიად,) ან უკუაგდოს პირველად მიღებული დებულება დაბალი სკოლის შესახებ.

მაშ, პრინციპიალურად შესაძლებელი ყოფილა რომ დაბალი სკოლის სისტემა, რომელიც შემუშავებული იქნება მაღალი სკოლის ინტერესების მხედველობაში მიუღებლად, გამოუდეგარი შეიქნეს და ის დრო, რომელიც კომისიამ მოანდომა დაბალი სკოლის განხილვას, სრულიად უნაყოფოდ დაიკარგოს.

ხაზს უსვამ: მე იმას კი არ ვამტკიცებ, რომ უმაღლესი სკოლის საკითხი უსათუოდ უნდა გაირჩეს კომისიაში დაბალი სკოლის საკითხის წინ. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ შესაძლებელია დაბალი სკოლის საკითხი დამოკიდებული იყოს უმაღლესი სკოლის საკითხიდან. მარტო ეს შესაძლებლობა საჭიროდ ხდის ნათლად გავითვალისწინოთ თუ საიდან უნდა დავიწყოთ მუშაობა, ე. ი. საჭიროდ ხდის წინასწარ გეგმას.

ასეთი გეგმის აუცილებლობა, მე დარწმუნებული ვარ, შემდეგში უსათუოდ გამოირკვევა. მე ვფიქრობ, რომ კომისიის ზოგიერთი წევრისათვის ეს აუცილებლობა გამოირკვა უკვე იმავე სხდომაზე, როდესაც გაიმართა მსჯელობა დაბალი სკოლის შესახებ. სხვა და სხვა ორატორები დაბალი სკოლის სხვა და სხვა მხარეს ეხებოდენ: ერთი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რა ადგილი უნდა ეჭიროს დაბალ სკოლაში პროფესიონალურ განათლებას; მეორე ლაპარაკობდა იმაზე, სავალდებულოდ უნდა გავხადოთ ტეხნიკური განათლება დაბალი სკოლის პირველი თუ მეორე საფეხურის შემდეგ, მესამე ლაპარაკობდა იმაზე თუ როგორ უნდა მოეწყოს სკოლები მოზრდილთათვის; ერთი სიტყვით, თითოეული ლაპარაკობდა იმაზე, რასაც მიუქცევია მისი განსაკუთრებული ყურადღება დაბალი განათლების საკითხში. ამნაირად, კომისიის მსჯელობა გაიბნა, რადგან მას არ უძღოდა წინ არავითარი გეგმა.

მიუხედავად იმისა თავმჯდომარემ მაინც უყარა კენჭი რამოდენიმე დებულებებს დაბალი სკოლის შესახებ. არც ერთი ეს დებულება არ იყო, ჩემის აზრით, ლოღიკური შედეგი კომისიების მიერ დამუშავებული აზრებისა. არც ერთი ეს დებულება არ გამხდარა მთელი კომისიის ყურადღების ფოკუსად. რა აზრი აქვს მაშინ კომისიის დადგენილებას? რა ღირებულება უნდა ჰქონდეს მას? შემდეგში დამფუძნებელ კრებას, ცხადია, არ ექნება იმის დრო, რომ დეტალურად გასინჯოს კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი. ბოლოს და ბოლოს გამოვა ის, რომ სრულიად დაუსაბუთებელი, არავის მიერ საკმაოდ გასინჯული, ზერელე და ფუქსავატი აზრი დაედება სარჩულად მთელ მომავალ სკოლას.

კომისიის მუშაობა მე ამნაირად მაქვს წარმოდგენილი: ის ახალ ჭეშმარიტებებს კი არ ქმნის სკოლის მოწყობის შესახებ, არამედ მხოლოდ თავს უყრის ყველაფერს იმას, რაც გამოთქმულია პრესაში ამ საკითხის შესახებ, უფარდებს ამას ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას და აკეთებს ამის და მიხედვით თავის დადგენილებებს. ასეთ ხასიათის მუშაობას კი აუცილებლად სჭირია წინასწარი დასაბუთებული გეგმა, რომელიც დააწყობს სკოლის საკითხებს მათი ურთიერთი დამოკიდებულების მიხედვით.

არ ვიცი, საკმაოდ ნათლად გამოვთქვი თუ არა ჩემი აზრი. ყოველ შემთხვევაში კომისიის მუშაობა დიდს საზოგადოებრივ მნიშვნელობას წარმოადგენს და ყოველივე წვრილმანი, რომელიც ამ კომისიაში ირჩევა, უნდა

*) სკოლის რეორგანიზაციის საკითხების ყოველ მხრივ გასაშუქებლად აზრთა გაცვლა გამოცვლას სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს.
რედ.

Z 126/759

აწყვეტს საზოგადოების გამოხმაურებას.

ნუ დავივიწყებთ, რომ უმთავრესად ამ კომისიაში წყდება, როგორც და მოეწყოს ჩვენი სკოლა. და სკოლა ხომ მთავარი იმედია, რომლითაც ჩვენ ვცოცხლობთ.

ს. დანელია.

# ქალაქის თვითმართველობაში.

ქალაქის გამგეობამ განიხილა საკითხი ებრაელთა და მუსულმანების საკვირაო დასვენების შესახებ. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს შრომის სამინისტროსა და პროფ. კავშირთა წარმომადგენლებმა. დაადგინეს: 1) ეთხოვოს შრომის სამინისტროს და პროფ. კავშირთა გამგეობას გამონახოს აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტათ შეთანხმებული გზა, რომ საშვალება მოგვცეს ებრაელთა და მუსულმანთა ეროვნულ საბჭოების შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა. 2. განმეორებით დადასტურებულ იქნას გამგეობის დადგენილება ყველა სავაჭროებში დღიურ რვა საათის ვაჭრობის შესახებ, მიუხედავათ იმისა, სარგებლობს თუ არა დაქირავებული შრომით სავაჭროები. 3. დადასტურებულ იქნას, რომ ორმაგი მორიგეობითი მუშაობა შემოღებულ უნდა იქნას იმ სავაჭროებში, რომლებიც უმთავრესათ თევზეულობით ვაჭრობენ.

—

ქალაქის გამგეობამ გაადიდა 1-ლ სავეთმყოფოს შესანახი თანხა 11,500 მანეთიდან 28000 მანეთამდე, გარდა მაზუთისა და სამანქანო ზეთისა ამ თანხიდან სასურსათო განყოფილებაში უნდა იგზავნებოდეს 8000 მან. ხოლო დანარჩენი 20000 მანეთი უნდა მიეცეს ადმინისტრაციას.

—

ქალაქის თვითმართველობის ყველა მოსამსახურეთ, რომელთაც ერგებათ ქალაქიდან ბინა გათბობით და განათებით მაგრამ მათ არ ღებულობენ მიეცემათ თვეში 300 მანეთი თვითეულს 1 იანვრიდან.

—

ქალაქის გამგეობამ დაადგინა 1 იანვრიდან გადიდოს ქალაქის სკოლების მასწავლებელთა გარდა უმაღლეს პირველ დაწყებისა—ჯამაგირები 480 მანეთით, და გაკვეთილის ფასათ მიეცათ 20 მანეთით მეტი.

—

ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საბჭოს წინაშე მეცხრე უბნის სანიტარულ მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე პლავინსკის მაგიერ ს. ი. გოკიელის არჩევის შესახებ.

—

ქალაქის იაფ-ფასიან სასადილოსათვის ქალაქის გამგეობამ სურსათის შესაძენათ 10000 მანეთი გადასდო.

—

შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებას 15000 ათასი მანეთი მისცა ქალაქის გამგეობამ ავლაბარში ქალაქის იაფფასიან სასადილო-საჩაიეს მოსაწყობათ.

—

ქალაქის ღამის თავშესაფარის შენობიდან (დიდუბეში) სამი ოთახი დაუთმო ქალაქის გამგეობამ შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებას ქალაქის განმანაწილებელ თავშესაფარის მოსაწყობათ.

—

1-ლ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელ ვარლამ ძიძიგურს ავათმყოფობის გამო ქალაქის გამგეობამ ერთი თვის ჯამაგირით დახმარება აღმოუჩინა.

—

ქალაქის გამგეობამ შეიწყნარა სასურსათო განყოფილების მუშათა მოთხოვნილება და 1 იანვრიდან ტვირთის დატვირთვა—გადატვირთვისათვის ფუთზე მოუმატა 25 კ. 50 კ. მაგივრათ 75 კ.

—

12 თებერვლიდან შეშაზე და შეშის ღორის ხორცზე (ლორზე) შემდეგი ნიხრი დაწესდა: შეშა მაგარი ხარისხისა 12 ვერშოკი 2600 მ., 24—2200 მ., 48—1700 მ., რბილი ხარისხის შეშაზე: 12 ვერ.—2050 მან., 24—1850 მ., 48—1600 მ. ფუთობით: 1-ლ რაიონში—15 მ., მეორე—16 მ., მესამე—17 მ., მეოთხე—18 მ. მეორე რაიონს ეძლევა უფლება გადასაზიდ ხარჯების დასაფარავათ საჟენზე მიუმატოს 150 მან. ნიხრს ზევით. მესამე რაიონს 250 მ. მეოთხეს 400 მ.

ღორის ლორი: წინა ბარკალი 45 მან. გირვანქა, უკანა ბარკალი 50 მან. გირ. გვერდები 47 მ. მოხარშული ვიჩინა უმაღლესი ხარისხის 65 მ. დანარჩენი ხარისხის არა უმეტეს 60 მან. გასტრონომიულ მაღაზიებს გარდა ეკრძალებათ ლორით ვაჭრობა.

—

მუშათა ცენტრალურ კლუბის კომისიას ქალაქის გამგეობამ სასურსათო საწყობიდან სადამოს მოსაწყობათ 5000 მანეთის სურსათი დაუთმო.

—

ქალაქის პირველ საავათმყოფოს უმცროსი ორდინატორები, ოქროპირიძე და კონიაშვილი დაინიშნენ იმავე საავათმყოფოს ტერაპევტიულ განყოფილების ორდინატორთა დროებითი მოვალეობის აღმასრულებლებათ.

# მუშათა კავშირებში

### მუშათა კოოპერატივი.

პროფ. კავშირთა საბჭომ დაადგინა დაარსდეს ყველა მუშებისათვის ერთი კოოპერატივი, რისთვისაც ამორჩეულ იქნა საგანგებო კომისია, რომელიც უნდა მოლაპარაკებოდა კოოპერატივ „ალორძინების“ გამგეობას მუშათა კოოპერატივთან შეერთების შესახებ. მოლაპარაკება ჯერ არ დაუსრულებია კომისიას. ამის გამო კომისიას დაავალა საბჭომ წინადადება მისცეს „ალორძინების“ გამგეობას წარმოადგინოს სრული ანგარიში კოოპერატივის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ და მოხსენება კოოპერატივის არა პროლეტარულ წევრებისაგან გაწმენდის შესახებ. სეკრეტარიატს აზრათ აქვს მუშათა ახალ კოოპერატივში შევიდეს ყველა მუშათა პროფ. კავშირები.

„ალორძინების“ გამგეობამ უკვე წარმოადგინა პროექტი განზრახულ მუშათა კოოპერატივის დაარსების შესახებ. სეკრეტარიატის აზრით ხსენებულ პროექტის ზოგიერთი მუხლები უნდა შეიცვალოს.

### სალამოს კურსები.

მუშათა სასახლეში დაარსდა სალამოს კურსები, სადაც წერა-კითხვის უცოდინარ მუშებს ასწავლიან. მეცადინეობა სწარმოებს ყოველ სალამოს. მოწვეულია გამოცდილი მასწავლებლები, სწავლა უფასოა.

### ინსტრუქტორი.

მუშათა კლუბის კულტურულ განათლების განყოფილების ინსტრუქტორათ მოწვეულ იქნა გრ. ქორიძე.

# სხვა და სხვა

იტალიის სამოქალაქო მისიამ სინატორ კონტორის მეთაურობით გუშინ, შუადღის 12 საათზე ინახულა მთავრობა, რომელთანაც მთავრობის თავმჯდომრის კაბინეტში ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა მისიას საქართველოს და იტალიის ეკონომიურათ დაახლოვების შესახებ. შემდეგ მისიამ დაათვალიერა სასახლე და დაესწრო დამფუძნებელ კრების სხდომას, სადაც დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე მისიას მიესალმა. მისიას სხდომაზე ტაშის კვრით და ოვაციებით მიეგებენ.

✦ დუშეთ-ფასანაურის შუა მიმოსვლა გაძნელებულია დიდი თოვლის გამო. ფასანაურსა და საზღვარს შუა მიმოსვლა შეწყვეტილია.

✦ დღეს, ოთხშაბათს, სალამოს 7 საათზე სასახლეში დანიშნულია დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომა. განსახილველია ეროვნებათა უმცირესობის საკითხი კონსტიტუციის პროექტისთვის.

✦ ქალაქის მედიკო-სანიტარულ ბიუროს ცნობით, 1—7 თებერვლამდე ქ. ტფილისში გადამდებ სენით ავათ გახდარა: პარტახტიან სახადით—6, შექცევითი—1, დიფტირიტით—6, წითელი ქარით—3, ხუნაგით—1.

✦ დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში დანიშნულია განსაკუთრებული თათბირი ქ. ტფილისის ზედმეტ ელემენტებისაგან გაწმენდის შესახებ.

✦ დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე სასამართლოს შენობაში დანიშნულია მე 3 და 4 კურს დამთავრებულ სტუდენტ იურისტების საერთო კრება. ამხანაგებს სთხოვენ კრებას აუცილებლათ დაესწრონ.

✦ ქალაქთა კავშირმა 5 ათასი მან. გადასდო დ. კლდიაშვილის სასარგებლოთ, მისი იუბილეს გამო.

✦ ნოვოროსიისკიდან ფოთში გემი „რუს“-ზე ჩამოვიდა 300 ლტოლვილი სომეხი, რომლებიც სომხეთში გაემგზავრებიან.

---

**განცხადებანი**

---

ალექსი კალისტრატის ძე ბოიბოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პროფესიონალური კავშირიდან აღებული წიგნაკი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 255 3—8

---

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი აცხადებს, რომ მის მიერ გაცემული ატესტატები: 1) № 4623-ეგნატე ჯიქიძესი, 2) № 44555-მიხეილ ავალიშვილისა, 3) № 4461 არჩილ კუტაძისა 4) № 4454-ვარლამ შერეზადაშვილისა, 5) № 4466 ალექსანდრე სირაძესი, 6) № 4471-ილია ცქიტიშვილისა, 7) № 4522 სერგო ლომიძესი, 8) №4622-ილო ქერდიძესი, 9) № 4449-დიმიტრი ტყეშელაშვილის, 10) № 4464-ვლადიმერ ჩაბრაძესი, 11) № 4463-ივანე წივილძესა. 12) № 4467-ალექსანდრე დარახველიძესი, 13) 4380-ზაქარია მესხისა, 14) № 4379 კიკოლა აბაიძესი და 15) № 3543 ნიკოლა პანტელიაშვილისა დაკარგულია და გაუქმებულათ ითვლება. 187 3—1

---

რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექცია ამით აცხადებს, რომ 20 ამა თებერვალს დილით პარასკევს შუადღის 12 საათ. ტფილისის № 2 საპყრობილეში (მეტეხის ციხე) დანიშნულია საჯარო გაყიდვა ნაცვამი ტანსაცმელის: ბლუზების, პერანგების, ფუფაიკების, ქილეტების, ჩოხების, პალტოების, ტუჟურკების, შარვლების, საბნების, ლეიბების, პირსახოცების, შინლების, ბაშლაყების, და სხვა. მსურველთ შეუძლიანთ დანიშნულ დროზე საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება. 215 1—1

---

გიორგი თედორეს ძე ბერული აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 275 3—1

---

თამარ დიმიტრის ასული თარალაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ დიმიტრი თარალაშვილის სახელზე დამტკიცებული ნასყიდობის სიგელი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 273 3—1

---

ტფილისის მეორე სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ანა დავითის ასულის პეტროსიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება პეტროსიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 0299 1—1

---

გრიგოლ ხმალაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის რეალურ სასწავლებლიდან აღებული სიმწიფის მოწმობა და ატესტატი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 252 3—1

---

სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა აცხადებს, რომ ხელწერილი № 47424 1000 მან. დაკარგულია და თუ ორი კვირის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან არ იქნა წარმოდგენილი კანტორაში, გაუქმებულათ ჩაითვლება და მის მაგიერ მეორე მიეცემა. 166 1—1

---

სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა აცხადებს, რომ ხელწერილი № 52432 ვარაქევის სახელზე დაკარგულია და თუ ის არ იქნა წარმოდგენილი კანტორაში ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, გაუქმებულათ ჩაითვლება და მის მაგიერ მეორე მიეცემა. 167 1—1

---

ქ. ტფილისის 20 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1918 წელს 25 ნოემბერს გარდაცვალებულ გრიგოლ ტერუნიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ტერუნიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. 1 ნ. X ტ. 1241 მუხ. გათვალისწინებულ ვადაში. 248 1—1

---

ქ. ტფილისის მე 20 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ალექსანდრე კალინინის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება კალინინის ქონებაზე სამ. კან. კრებ. 1 ნ. X ტ. 1241 მუხ. გათვალისწინებულ ვადაში. 247 1—1

---

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 87403. 500 მან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 271 3—2

---

ივანე სიმონის ძე ომანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო წიგნაკი № 20077, 6 სულის, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 249 3—2

---

ისაკ მოსეს ძე დანიელოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, (თავის და ოჯახობის, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 250 3—2

---

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმათ ანნა ივანეს ასული ჯანელიძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს მოწმობა, მიღებული ქუთაისის ქალთა კავშირის გიმნაზიიდგან 14 სექტემბერს 1919 წელსა № 46, სთხოვს, მპოვნელს აღნიშნული მოწმობის წარმოადგინოს მილიციისა სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ითვლება. 210 2—2

---

გრიგორი იოსების ძე სომხიევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 6126, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 251 3—2

---

ნიკოლოზ გერასიმეს ძე სხირტლაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული სიღნაღის სამართლის მილიციის სამმართველოდან № 685. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 219 3—2

---

ისიდორე წიკლაური აცხადებს, რომ მას ნაძალადევში, აგურ ხანასთან, ბოროტგანზრახველებმა იანვრის 23 სალამოს 6 ს. 70 ცალი სული ცხვარი. ვინც კი რაიმე იცის დაკარგულ საქონლის შესახებ სთხოვენ შეატყობინოს პატრონს ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ის. წიკლაურს. 222 3—2

---

თებრონია ქუსიკაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა სახლის წიგნი (გარშეჩნის შესახვევი № 14) რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 265 3—3

---

ნინო ნესტორის ასული კალანდაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აღებული მატრიკული № 722, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 254 3—3

---

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე თეთრაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო ბარათი, სამი სულის. ბარათი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 253 3—3

---

ალექსანდრე პეტრეს ძე ჩუბალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 12978 აღებული ტფილისის ყოფილ პოლიცმეისტერის კანტორიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 229 3—3

---

პავლე კირეის ძე პორტონვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ორი ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1902 წ. 7 თებერვალს, № 272, და 1903 წ. 17 ივლისს № 1660, სიგელი გაუქმებულათ ითვლება. 258 3—2

---

დაკარგულია სარკის აირაპეტის ძე მუგდუსიოგანიანის პასპორტი, აღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან 1920 წ. იანვრის 5 ს 23. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 206 3—2

---

ნინო ვლადიმერის ასული ჩიკვაიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ამიერ კავკასიის ქალთა ინსტიტუტის კანცელარიიდან აღებული 1917 წ. ატესტატი. ატესტატი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 207 3—2

---

სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი კონსტანტინე ჰეჰინაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა მატრიკული № 895, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 208 3—2

---

ალექსანდრე სამსონის ძე თხელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 56 აღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 211 3—3

---

ბორჩალოს მაზრის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ მახმუდ ასან ოღლიმ დაჰკარგა წლიური პასპორტი, მიღებული ს. სარაჩლოს კომისარიდან 1919 წლ. სექტემბრის 16 ს, № 26, რომელიც გაუქმებულათ ითვლება. მპოვნელი ვალდებულია წარმოადგინოს ბორჩალოს მაზრის კომისარიატში. 56 3—2

---

სახელოვნებო-სალიტერატურო უპარტიო ჟურნალი

## „თეატრი და ცხოვრება“

გამოდის ყოველ კვირა, დასურათებული. ფასი 10 მ. მისამართი: ტფილისი, ბაზრის ქ. № 20

რედ.-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი 10—1

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი